ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №17/19

2017 წლის 28 ივლისი

ქ. ფოთი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ. ვ“ ქვეპუნქტისა და „დ.ე“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20, 23-ე მუხლებისა და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილების შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

განისაზღვროს და დამტკიცდეს თანდართული ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობათა რანგები, თანამდებობრივი სარგოები და საშტატო ნუსხა.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ფოთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი აკაკი დარჯანია

დანართი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობათა რანგები, თანამდებობრივი სარგოები და საშტატო ნუსხა

№	თანამდებობის დასახელება	თანამდებობრივი სარგო (ლარებში)	საშტატო რიცხოვნობა
პოლიტიკური თანამდებობის პირი			
1	საკრებულოს თავმჯდომარე	2750	1
2	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	2500	1
3	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	2400	5
4	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	2400	
პირველი რანგი (მაღალი მმართველობითი დონე) საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი			
5	საკრებულოს აპარატის უფროსი	2000	1
მეორე რანგი (საშუალო მმართველობითი დონე) საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი			
6	საორგანიზაციო განყოფილების უფროსი	1300	1

7	საქმისწარმოების განყოფილების უფროსი	1300	1
8	საოქმო -საარქივო განყოფილების უფროსი	1300	1
9	იურიდიული განყოფილების უფროსი	1300	1
10	მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი	1300	1
მესამე რანგი (უფროსი სპეციალისტის დონე)			
11	საორგანიზაციო განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1000	2
12	საქმისწარმოების განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1000	1
13	საოქმო -საარქივო განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1000	2
14	იურიდიული განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1000	2
15	მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1000	2
16	მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (ბუღალტერი)	1000	1
სულ საკრებულოს აპარატის საშტატო ერთეული		16	